ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2509041

ნომერი: AR1389177

თარიღი : 24.03.2016

გაცემის თარიღი : 29.03.2016

გაცნობის თარიღი : 29.03.2016

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გიორგი ტერევერკოს ქუჩა N2 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნოდარ ჯამაგიძე პ/ნ 01001008235
- თბილისი გლდანი I მ/რ კორ. 8 ბ. 58

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ:
როგორც წარმოდგენილი ფოტოსურათებიდან ორკვევა, ვინაიდან საპროექტო სარეკლამო აბრა და საჩრდილობელი უკვე განთავსებულია, ასეთ შემთხვევაში “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ნებართვის გამცემი ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე დამრღვევის მიერ შესაბამისი დარღვევისთვის გამოცემული აქტისა და დაკისრებული ჯარიმის წარმოდგენის შემდეგ ან უნდა განახორციელოთ ნაწარმოები მშენებლობის დემონტაჟი, რომლის დამადასტურებლად უნდა წარმოადგინოთ განახლებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოები და მასთან ერთად ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული შესაბამისი დადგენილება, უნებართვოდ ნაწარმოები მშენებლობის განხორციელებული დემონტაჟის თაობაზე.
აღნიშნულის განხორციელების შემდგომ უნდა აირჩიოთ შემდეგი ნომენკლატურა – "აბრებისა და რეკლამების განთავსება", და "საჩრდილობლის მოწყობა", ქმედება – ახალი მშენებლობა.
ასევე საპროექტო ფოტომონტაჟზე დატანილი უნდა იყოს არსებული ხე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური ამ ეტაპზე მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.